საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-285

29/03/2019

ქ. თბილისი

ქალაქ ბათუმში სასარგებლო წიაღისეულის მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო მიზნით) მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ქალაქ ბათუმში სასარგებლო წიაღისეულის მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო მიზნით) მოპოვების სკრინინგის განცხადება.

დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს ქ. ბათუმში, კახაბრის დასახლების მიმდებარე ტერიტორიაზე სს ,,ფოლათ იოლ იაფი სანაიი ვე თიჯარეთის" სასარგებლო წიაღისეულის მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვებას. წიაღითსარგებლობის ობიექტის რაოდენობა შეადგენს 3 ჭაბურღილს. ობიექტების კოორდინატებია: N1- X-718404,138; Y-4607662,286; N2-X-718325,044; Y-4607708,73; N3-X-718124,143; Y-4607774,192; ჭაბურღილები მდებარეობს მდ.ჭოროხის მარჯვენა ნაპირზე (100მ). საპროექტო ტერიტორიიდან დასახლება (კახაბრის დასახლება) დაშორებულია 1200 მეტრით, უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია-500 მეტრით. მანძილი უახლოესი საავტომობილო გზიდან 85 მეტრს შეადგენს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, მოსაპოვებელი სასარგებლო წიაღისეულის მოცულობა შეადგენს: N1 ჭაბურღილიდან -40 000 $მ^3$-ს წელიწადში; N2 ჭაბურღილიდან -106 000 $მ^3$-ს წელიწადში; N3 ჭაბურღილიდან -650 000 $მ^3$-ს წელიწადში; საექსპლუატაციო მარაგი დამტკიცებული არ არის და იგი წარმოდგენილია P(პროგნოზული) კატეგორიით.

სკრინინგის განცხადების თანახმად, არტეზიული ჭაბურღილების წყლის შესწავლამ აჩვენა, რომ იგი ქიმიური შედგენილობით ჰიდროკარბონატულ-კალციუმიანი და კალციუმიან-ნატრიუმიანი ტიპისაა. საერთო მინერალიზაცია 1გ/ლ-მდე. ბაქტერიოლოგიური და ფიზიკური შემადგენლობა ასევე სანიტარული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. წყლის გამოყენება შესაძლებელია სამეწარმეო დანიშნულებით. წყლის ტემპერატურა 12-15 ^{0}C-ია. სალიცენზიო ობიექტები არსებულია, სამივე ჭაბურღილზე დამონტაჟებულია მრიცხველი მოპოვებული წყლის რაოდენობის აღრიცხვისათვის, თავმორთულობები მოწყობილია, დამატებით საჭიროებს დამცავი ჯიხურის დადგმას.

საინჟინრო გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივ) კატეგორიას. წიაღითსარგებლობის ობიექტების ტერიტორიის გეოდინამიკური სიტუაცია სტაბილურია და ექსპლუატაციის პროცესში გართულებები მოსალოდნელი არ არის.
აღნიშნული მიწისქვეშა მტკნარი წყლის ჭაბურღილები წარმოადგენს არსებულ ობიექტს, ხოლო მიმდებარე ტერიტორიაზე სხვა პოტენციური დაბინძურების წყარო არ არსებობს, შესაბამისად კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. რადგანაც ტერიტორია წარმოადგენს უკვე ათვისებულს, გამომდინარე აქედან ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.
ჭაბურღილების მიწისზედა ინფრასტრუქტურა (ჭაბურღილის თავმორთულობა) მოწყობილია, შესაბამისად ნარჩენების რაოდენობის გათვალისწინებით ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი. ასევე, საქმიანობის განხორციელების პროცესში ხმაურის წარმოქმნას ადგილი არ ექნება.
საქმიანობა არ არის დაგეგმილი შავი ზღვის სანაპირო ზოლთან, ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან. ვიზუალური შეფასებით საპროექტო ტერიტორიაზე არ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი.

სკრინინგის განცხადების მიხედვით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობა გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას არ გამოიწვევს და შესაბამისად არ ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

<u>ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-3 და მე-6 ნაწილების საფუძველზე</u>

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს'' მიერ წარმოდგენილი ქალაქ ბათუმში სასარგებლო წიაღისეულის მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო მიზნით) მოპოვება **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს'';
4. ბრძანება ძალაში შევიდეს ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს'' მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქალაქ ბათუმის აღმასრულებელი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი